

## სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები

1. შპს სიო ს პროფესიულ სტუდენტებსა (შემდეგში-სტუდენტი) და თანამშრომლებს უფლება აქვთ ნებისმიერ დროს მიმართონ სამედიცინო სამსახურს, რომელსაც ხელმძღვანელობს ექთანი და მიიღონ შესაბამისი კონსულტაცია ან სამედიცინო დახმარება.
2. დაწესებულების ყველა თანამშრომელი თუ პროფესიული სტუდენტი ვალდებულია ჩააყენოს საქმის კურსში დაწესებულების ადმინისტრაცია ყველა ისეთი დაავადების შესახებ, რომელიც უეცარი, გაუთვალისწინებელი, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველი შეტევის წარმოშობის შესაძლებლობას ითვალისწინებს;
3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული შეტყობინების ვალდებულება ვრცელდება ორსულობის, ასევე საოპერაციო რეაბილიტაციის მდგომარეობაში მყოფ პირებზე.
4. დაწესებულების ტერიტორიაზე ყოფნის დროს, ჯანმრთელობის გაუარესების შემთხვევაში, ავადმყოფი მიმართავს დაწესებულების ადმინისტრაციის ნებისმიერ თანამშრომელს, რომელიც უზრუნველყოფს მის მიცილებას დაწესებულების სამედიცინო კაბინეტამდე.
5. სამედიცინო კაბინეტში არის ის აუცილებელი მედიკამენტები და შესაბამისი აღჭურვილობა, რაც აუცილებელია პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოსაჩენად და კაბინეტის შეუფერხებელი მუშაობისათვის.
6. დაწესებულების სამედიცინო კაბინეტი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისა და დაწესებულების პერსონალისათვის პირველადი გადაუდებელი დახმარების გაწევას, სავარაუდო დიაგნოზის დადგენასა და მკურნალობის გაგრძელების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებას.
7. სანიტარულ – ჰიგიენური და ეპიდემიური მდგომარეობის სისტემატურ მონიტორინგს და განსაზღვრავს სათანადო ღონისძიებებს მათი ნორმებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.
8. თუ დაწესებულების პროფესიული სტუდენტი ან თანამშრომელი ვერ ახერხებს დედამოუკიდებლად მისვლას, ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ექთანს, დაცვის სამსახურს, რომლებიც ვალდებული არიან მიიყვანონ ეს პიროვნება სამედიცინო კაბინეტთან.
9. თუ დაწესებულების პროფესიული სტუდენტის ან თანამშრომლის ჯანმრთელობის მდგომარეობის სირთულიდან გამომდინარე ეჭვქვეშ დგება მისი გადაადგილების უსაფრთხოება, დაწესებულებაში მყოფ ნებისმიერ პირს უფლება აქვს აცნობოს ექთანს და სთხოვოს მას ავადმყოფის ადგილზე გასინჯვა. ექთანი ვალდებულია დააკმაყოფილოს ეს თხოვნა.
10. აუცილებლობის შემთხვევაში ექთანმა დაუყოვნებლივ უნდა გამოიძახოს სასწრაფო დახმარება.
11. სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის გამოძახებისას, ექთანმა ოპერატორს უნდა მიაწოდოს ზუსტი ინფორმაცია, კერძოდ:
  - საკუთარი ტელეფონის ნომერი;
  - დაწესებულების მისამართი;
  - რა შემთხვევასთან გვაქვს საქმე რამდენად სერიოზულია ის;
  - დაზარალებულთა რაოდენობა, სქესი, ასაკი და ზოგადი მდგომარეობა;
  - ნებისმიერი სხვა საჭირო ინფორმაცია.
12. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის გამოძახებისას დაწესებულების ექთანი ვალდებულია პირველმა არ დაკიდოს ყურმილი, ვინაიდან შეიძლება ოპერატორმა დასვას დამატებითი შეკითხვები.